საქართველოს
ფოლკლორის
სახელმწიფო
ცენტრი

2017 წლის I კვარტლის ანგარიში

❖ 17 იანვარს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ,,დანტე ალიგიერის" ხელოვნების სკოლის ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა.

❖ 15 იანვარს ფოლკლორის ცენტრის დირექტორმა გიორგი დონაძემ დაათვალიერა ოზურგეთის წარმომადგენლობის სარემონტო სამუშაოები.

- 26 იანვარს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა მალხაზ ბარბაქაძის, დავით მონოვარდისაშვილის, ერეკლე წულაძის, დავით ბაშარულის, ზეზვა საღლიანის, თამარ ბახტაძის ნამუშევრების გამოფენა.

❖ 15 თებერვალს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა თვითნასწავლი მხატვრის ნიკოლოზ გამცემლიძის პერსონალური გამოფენა. გამოიფინა მხატვრის მიერ ბოლო წლებში შესრულებული 100-მდე ფერწერული ტილო და კერამიკის ნიმუში

❖ 15 თებერვალს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა და ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის ორგანიზებით ჩატარდა საღამო ,,სიყვარული ქართულ ფოლკლორში". წარმოდგენილი იყო თუ როგორ აისახებოდა სიყვარული ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში, სამუსიკო ფოლკლორში, ქორეოგრაფიაში, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში.საღამოზე ოეწყობო ფოტოგამოფენა, რომელიც ასახავდა როგორ უყვარდათ უწინ.
მონაწილეობდენ: ეთერ თათარაიძე - პოეტი;
უჩა დვალიშვილი - ქორეოგრაფი;
თეონა რუხაძე - ეთნომუსიკოლოგი;
ლუარსაბ ტოგონიძე - მკვლევარი, მუზეუმის მეგობრების ასოციაციის პრეზიდენტი;
ანსამბლები: ,,დიდგორი" და ,,კელაპტარი

❖ 16 თებერვალს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის რეგიონების სამსახურის თანამშრომლები იმყოფებოდნენ ყვარელში, სალოტბარო სკოლის შემოწმების მიზნით.

❖ 17 თებერვალს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი გიორგი დონაძეს შეხვდა 17 სალოტბარო სკოლის მასწავლებლებს

❖ 22 თებერვალს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი გიორგი დონაძე და ანსამბლ ,,რუსთავის" ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი თელავში შეხვდნენ თელავის ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის დირექტორს ლელა ონიანს.

❖ 23 თებერვალს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა თვითნასწავლი ნაივი მხატვრის ავთანდილ დათიაშვილის პერსონალური გამოფენა

- 9 მარტს, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიმართა მგალობელ-მომღერალთა გუნდის ,,დიდგორის" რიგით მესამე აუდიო ალბომის პრეზენტაცია

❖ 9 მარტს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა თინათინ ბახტაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

❖ 16 მარტს საქართველოს კულტურისა და ძელგთა დაცვის სამინისტროში გაიმართა სამუშაო შეხვედრა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან, სადაც განხილულ იქნა ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალის ჩატარების საკითხი. შეხვედრას უძღვებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი გიორგი დონაძე და Black Sea Arena-ს დირექტორი დიმიტრი ბერიძე

- 21 მარტს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა სახვითი ხელოვნების გამოფენა ,,გაზაფხული 2017".
  გამოიფინა 75 ავტორის მიერ შესრულებული ნამუშევრები

❖ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში 2016 წლის შუახევის კომპლექსური ექსპედიციის პრეზენტაცია გაიმართა.
ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოხერხდა იმ უნიკალური ფოლკლორული მასალის მოძიება-შეგროვება, რომლებიც სასწრაფოდ აუდიო-ვიდეო-ფოტო დაფიქსირებას საჭიროებდა.

❖ 28 მარტს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი გიორგი დონაძე და რეგიონების სამსახურის თანამშრომლი მიხეილ ჯავახიშვილი იმყოფებოდნენ ზესტაფონში, სალოტბარო სკოლის შემოწმების მიზნით.

❖ 29 მარტს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი გიორგი დონაძე და რეგიონების სამსახურის თანამშრომლი მიხეილ ჯავახიშვილი იმყოფებოდნენ ბაღდათში, სალოტბარო სკოლის შემოწმების მიზნით.

• გამოსაცემად მზად არის დისკი საარქივო აუდიოჩანაწერები. (კასპი, ქვემო ჭალა.) კომპაქტდისკზე წარმოდგენილია სიმღერა-დასაკრავები ქვემო ჭალის ფოლკლორული ანსამბლის, ქართლის და ამავე სოფლელი და-ძმის, იოსებ და ნადია ისერგიშვილების რეპერტუარიდან.

- გამოსაცემად მზად არის დავით ჯავრიშვილის ანთოლოგია
- მიმდინარეობსმუშაობა მონოგრაფიაზე -„რაჟდენ ხუნდაძე"
- გამოსაცემად მზად არის აუდიო ალბომი: ,,მიშა მცურავიშვილი, ჩემი სიმღერა"

- მიმდინარეობს მუშაობა კრებულზე -„ქართული საეკლესიო გალობის ანთოლოგია“.

- მიმდინარეობს მუშაობა ცენტრის ახალი ვებ.გვერდის www.folk.gov.ge შევსებაზე. მომხმარებელს უკვე საშუალება აქვს გაეცნოს აღნიშნულ საიტზე განთავსებულ მასალებს.

- მიმდინარეობს ინტენსიური საქმიანობა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საქართველოს რეგიონებში წარმომადგენლობების გახსნასთან დაკავშირებით.

❖ რეგულარულად ვუწევთ რეკომენდაციებს შემოქმედებით თუ საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა ანსამბლების ხელმძღვანელებს, მომღერლებს, ქორეოგრაფებსა და მოცეკვავეებს, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატებსა და მხატვრებს, მთქმელებს, სახალხო თეატრების რეჟისორებს და ასევე სხვადასხვა რაიონის კულტურის სამსახურის უფროსებს.

❖ ყოველდღიურად მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივის შესავსებად.